

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** თარგმანმცოდნეობა

**სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი ინესა მერაბიშვილი

**პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

საუკუნეების მანძილზე თარგმანს სოციალურ-კულტურული და საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭებოდა და იგი ცივილიზაციის თანამგზავრად რჩებოდა მუდამ. ამ თვალსაზრისით საქართველოს მდიდარი ტრადიცია გააჩნია. თარგმნილი ლიტერატურა ქართული მწერლობის ისტორიის სათავეებთან დგას. XIX საუკუნეში ქართული მთარგმნელობითი ტრადიციების განვითარების მწვერვალად შექსპირის ტრაგედიების მაჩაბლისეული თარგმანი მოგვევლინა. თარგმანის პროცესში ფრიად ღირსსაცნობი შემდეგი მომენტია: ერთია თარგმანის პრაქტიკული ასპექტი, ხოლო მეორე - მისი მეცნიერული შესწავლა, რაც თარგმანის თანამედროვე მიმართულებებთან დამოკიდებულებას გამოავლენს, მაგრამ შედეგით ისევ თარგმანის ხარისხზე აისახება.

მიუხედავად იმისა, რომ XVII საუკუნეში საფრანგეთის აკადემიის ინიციატივით დაიწყო თარგმანის მეცნიერული კვლევა, თარგმანის თეორიამ სიცოცხლე მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში შეიძინა. თარგმანის თეორია თვისობრივად თარგმანის ლინგვისტიკაში გადაიზარდა, რადგან პირველი მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობის მონაპოვარს სჯერდებოდა იმ დროს, როდესაც მეორემ, ანუ თარგმანის ლინგვისტიკამ, თავის წინაშე უაღრესად საინტერესო კვლევის პერსპექტივა დასახა, როგორც ტექსტის ინტერპრეტაციისა და ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებამ. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ეფუძნება ისეთი დისციპლინების შერწყმას, როგორც გახლავთ სტილისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა და სხვა. თარგმანის მეცნიერული შესწავლის არეალი გაფართოვდა, ტრადიციული თარგმანის თეორიის მიერ მოპოვებული ცოდნა თარგმანის ლინგვისტიკაში გაერთიანდა და თარგმანის ისტორიასთან ერთად შექმნა ისეთი ფილოლოგიური დარგი, როგორც გახლავთ ტრანსლატოლოგია - translatology, იგივე, თარგმანმცოდნეობა.

დასავლეთთან ინტეგრაციის აუცილებლობის პირობებში, საქართველოს ჩართვა ამ პროცესში ფრიად მნიშვნელოვანია თარგმანის გზით. ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ იმ მდგომარეობას, რომ საქართველოში თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების საქმის განვითარების საპატიო მისია ქართულმა უნივერსიტეტმა უნდა იტვირთოს, მითუმეტეს, რომ ამის ტრადიცია აქ არსებობს. სადოქტორო პროგრამა თარგმანმცოდნეობაში ეყრდნობა თარგმანის თეორიის თანამედროვე მიმართულებებს და მიზნად ისახავს თარგმანის თეორეტიკოსისა და კრიტიკოსის მომზადებას, მითუმეტეს რომ ეს უკანასკნელი ფუნქციონირებელი დარგია საქართველოში.

**ა) პროგრამის მიზანი:**

ჩვენი ამოცანაა, მომზადდეს თარგმანის ისეთი თეორეტიკოსი დოქტორანტურაში, რომელიც განაზოგადებს რა არსებულ თეორიულ ცოდნას ამ დარგში, შეძლებს განავითაროს ახალი დამოკიდებულება და თავისი ნაშრომით შეავსოს არსებული ხარვეზები ამ დარგში. ეს, პირველ ყოვლისა, ეფუძნება შემდეგ დამოკიდებულებას თარგმანისადმი:

1. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია არა მარტო ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი, არამედ ქართული ენიდან უცხოურ ენებზე თარგმნილი ლიტერატურა, რათა ხელი შეეწყოს ქართული კულტურის, საკუთრივ ქართული მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურის გატანას საზღვრებს გარეთ.
2. თარგმანის თეორეტიკოსი, ისევე როგორც მთარგმნელი, მშობლიური ენის გვერდით თავისუფლად უნდა ფლობდეს მინიმუმ ერთ უცხოურ ენას.

3. დოქტორანტი განსწავლული უნდა იყოს იმ ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, რომლის ტექსტის ანალიზსაც ის ჩაატარებს თარგმანთან მიმართებაში, რაც ნიშნავს ავტორის თეზაურუსის ცოდნას.
4. ამასთანავე ერთად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თარგმანს, როგორც ფილოლოგიურ გამოკვლევას და თარგმანს, როგორც კულტურათა დიალოგს.

**ბ) პროგრამის შედეგი:**

- დისერტანტი დოქტორანტურაში მუშაობის პროცესში შეიძენს ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც დარგობრივ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საშუალებას მისცემს (პუბლიკაცია, მოხსენება და ა. შ.). მას შეეძლება პრობლემის ანალიზი ინტერდისციპლინარულ და ინტერკულტურულ ჭრილში.
- დისერტანტი კვლევის პროცესში აიმაღლებს ცოდნას როგორც თარგმანმცოდნე და მას აუცილებლად ჩამოუყალიბდება ტექსტთან ურთიერთობის განსაკუთრებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები, დაეუფლება დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე. თარგმანმცოდნეობაში მომზადებული დოქტორი შეძლებს გარკვეული წვლილი შეიტანოს ამ დარგის შემდგომ განვითარებაში და გახდეს თარგმანის კრიტიკოსი, მითუმეტეს, რომ ის შექმნის ახალ ცოდნას და შეიმუშავებს კვლევის დამოუკიდებელ მეთოდებსა და მიდგომას.

**გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:** მუშაობა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, უმაღლეს სკოლაში თარგმანმცოდნედ, უმაღლეს ან საშუალო სკოლაში ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, რედაქტორად, მთარგმნელად გამომცემლობებსა და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში.

**სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს ფილოლოგიის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, აგრეთვე სხვა დარგის სპეციალისტს, თუ მას აქვს თარგმანში სათანადო გამოცდილება.
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
3. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი უცხოური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.
4. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

**სასწავლო კომპონენტი:**

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი არის სასწავლო და კვლევითი ელემენტების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის დაწერაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

<b>სავალდებულო</b>	<b>25-35 კრედიტი</b>
სწავლების თანამედროვე მეთოდები	5 კრედიტი
მეცნიერების მენეჯმენტი	5 კრედიტი

პროფესორის ასისტენტობა	5-15 კრედიტი
დოქტორანტი I კოლოკვიუმი	5 კრედიტი
დოქტორანტი II კოლოკვიუმი	5 კრედიტი
<b>არჩევითი</b>	<b>35-25 კრედიტი</b>
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები (არჩევითი)	5-30 კრედიტი
საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი	5-30 კრედიტი
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი	5-30 კრედიტი
აკადემიური წერა	5 კრედიტი
სპეციფიკური დარგობრივი კურსები	15 კრედიტი

**კვლევითი კომპონენტი (120 კრედიტი):**

დოქტორანტურა დასრულებულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი აითვისებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კრედიტს და წარადგენს დასაცავად სადოქტორო დისერტაციას. სადოქტორო ნაშრომი, რომელზეც დოქტორანტი მუშაობს სწავლების პერიოდში უნდა იყოს მონოგრაფიული ხასიათის დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც უნდა შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინგადადგმულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის შემდგომ კვლევაში.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს 150-250 გვერდს (არაუმეტეს 400000 ასო-ნიშნისა, MS Word-ში, შრიფტის ზომა – 12).

**სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 90-იანი წლებიდან დაფუძნდა ჯერ თარგმანის განყოფილება, ხოლო შემდეგ ენებისა და თარგმანის კათედრა (IV კორპუსი, III სართული), რომელიც ამჟამად აღჭურვილია თარგმანის თეორიაში უნიკალური ბიბლიოთეკით. ბიბლიოთეკა მოიცავს არა მარტო იმ ფუნდამენტურ ნაშრომებს, რომლებიც იქმნებოდა თარგმანის თეორიაში წლების მანძილზე, არამედ იმ თანამედროვე უცხოურ ლიტერატურას, რომელიც დღეს განსაზღვრავს თარგმანმცოდნეობის მდგომარეობას.

დოქტორანტს შეუძლია ისარგებლოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ყველა ბიბლიოთეკით და ცალკეულ შემთხვევებში მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას (თბილისი, გუდიაშვილის ქ. №7).

**რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი:** პროგრამა გათვალისწინებულია 2 დოქტორანტზე.

**პროგრამაში ჩართული პროფესორები:**

ინესა მერაბიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი. საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი მოიწვევს დარგის სპეციალისტს.